გურიის გუბერნატორი დანიელ ინვესტორს შეხვდა

გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** თავის მოადგილესთან გიორგი თურმანიძესთან ერთად, დანიელ ინვესტორს, კომპანია **„sustaine ene-rgy a/s**“-ის დირექტორს **ჯესპერ იორგანსონს** შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო გურიის რეგიონში იტალიური ვერხვის ხის სანერგე მეურნეობის მოწყობის და საწარმოს მშენებლობის საკითხს.

„გასულ წლებში, დანიელი ინვესტორის ინიციატივით ,ლანჩხუთის მუნიციპ-ალიტეტში, სანერგე მეურნეობა მო-ეწყო, სადაც 40 ჰა მიწის ნაკ-ვეთზე იტალიური ჯიშის ვე-რხვის ნერგები დაირგო. უახლოეს მომავალში კომპანიის წარმომადგენლები გურიაში გაფართოებასაც გეგმავენ. კერძოდ, დაგეგმილი აქვთ ხის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ინვესტორის გა-ნმარტებით, ვერხვის ხის ჯიში ევროპაში პოპულარულია და მისი მოხმარების ტენდენცია ყოველწლიურად იზრდება. მცენარე კარგად ეგუება ჭარბტენიან ნი-ადაგს. ჩვენ, მზად ვართ მათთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის და ინვესტორის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული“- აღნიშნა გუბერნატორმა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

სალომე ზურაბიშვილი – ვაშაძეს და რუსეთს არ დავუთმობ ქვეყანას

პირველ ტურში პირველი ადგილი ეს არის გამარჯვება, – ამის შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, სალ-ომე ზურაბიშვილმა საკუთ-არ საარჩე-ვნო შტაბში, ბრიფინგზე განაცხადა.

„შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს არ არის ის გამარჯვება, შეიძლება ველოდით მეტს, მაგრამ პირველ ტურში პირველი ადგილი ეს არის გამარჯვება. ყველაფრის მიუხედავად, ძალიან ბინძური კამპანიის, ცილისწამების, ყველა იმ ხერხის და მეთოდის, რომელიც ეკუთვნის რუსულ ტექნოლოგიას, ამ ყველაფრის მიუხედავად – პირველი ადგილი პირველ ტურში.

„რუსთავი 2“ ფიქრობს და აკერებს ხალხს, რომ შეიძლება მოვხსნა კანდიდატურა და რა? ვაშაძეს და რუსეთს დავუთმო ქვეყანა? მხარდამჭერები და თანამებრძოლები მივატოვო შუა ბრძოლაში? მე მგონი, არ მიცნობენ კახელიც ვარ და მგრელიც. ჯიუტი, ბოლომდე წამსვლელი, ჩემი ხალხისა და ქვეყნის ერთგული. ამიტომ, მზად ვართ მეორე ტურისთვის, მზად ვართ ბრძოლისთვის, რადგან მჯ-ერა თქვენი, ვინც დღეს მისმენთ, მჯერა თქვენი არჩ-ევანის, მჯერა თქვენი სიბრ-ძნის, მჯერა იმის, რომ თქვენ იცით, რა მინდა საქართველოს-თვის“,– განაცხადა ზურაბიშ-ვი-ლმა.

მისი თქმით, დღეს არ არის არჩევანი ორი პარტიას შორის.

„თქვენც კარგად ხედებით, რომ დღეს არ არის არჩევანი ორ პარტიას შორის, დღეს არჩევანია ორ საქართველოს შორის. როგორი გვინდა ეს საქართველო, ეს არის არჩევანი და ეს არის მეორე ტური. ჩვენ ეს არჩევანი ერთად უნდა გავაკეთოთ. მე მჯერა თქვენი. მივდივარ ბრძო-ლაში, ყველანი მივდივართ ერთად, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მხარეს არის სიმართლე, ევროპა, საქ-ართველოს თანამე-როვე მომავ-ალი. ერთად საქართველოსთვის“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 42 (10287) 5 ნოემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ქალაქ ოზურგეთში წმინდა გიორგის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ასფალტდება 1750 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზა.

პროექტის ღირებულება 675 984 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს შპს „გზამშენი 18“ ასრულებს.

პროექტის მიმდინარეობას გასულ კვირაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გაეცნო.

„არ მინდა ძველი დროის დაბრუნება, მაგრამ მეორეც უვარგისია“

მარი კოძოევი

ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი? პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მეორის მოლოდინში დებატები ყველა დონეზე გრძელდება. თამაშგარეთ დარჩენილი კანდიდატები და მათი პარტიის წევრები „ნაციონალებს“ და „ოცნებას“ ერთნაირი შემართებით „აძებენ“. განსაკუთრებულად აქტიურ, ორ მათგანს ჩვენც ვესაუბრეთ.

დავით მამალაძე (ლეიბორისტული პარტია): პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, იმ ერთგულ ამომრჩეველებს, რომლებიც ნამდვილად არ გაიყიდნენ და ყოველგვარი ანგარების გარეშე დაუჭირეს მხარი ნათელ მომავალს. რაც შეეხება შედეგს, რომ არ ყოფილიყო არჩევნების ტოტალური გაყალბება, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაკვეთილი ეგზიტპოლები და ნაცებ-ქოცებს შორის ფარული, ბინძური გარიგება, სულ სხვა შედეგი დადგებოდა. ამის დასტურია ის 60 000 ხმა, რომელიც ლეიბორისტმა კანდიდატმა, ერთი თეთრის დახარჯვის გარეშე მიიღო. პრაქტიკულად არჩევნებში გამარჯვებული არის ლეიბორისტული პარტია. შედეგი დაიდო გაყალბების, მოსყიდვის, შანტაჟის და ძალადობის გზით. ამ ყველაფრის ავტორები სასწრაფოდ არიან ქვეყნიდან მოსაცილებელი თორემ კარგს არც ქვეყანას მოუტანენ რამეს, არც ხალხს.

-როგორია თქვენი მოლოდინი მეორე ტურთან დაკავ-შირებით?

-არჩევნები რომ ობიექტურად და დემოკრატიულად ჩატარებულიყო, პირველივე ტურით დამთავრდებოდა ყველაფერი. მეორე ტური გაყალბების შედეგია. უპრეცენდენტო დიდი ფულია დახარჯულიო მმართველი პარტის მხრიდან. ამ არჩევნებმა დაანახა ხალხს, რომ რეჟიმი არის მოსაცილებელი, ძველი რეჟიმი თავისთავად ვერ დაბრუნდება . ერთი რეჟიმია ორივე. ამიტომ უნდა შეიქმნას ერთიანი ეროვნული თანხმობის კოალიციური მთავრობა, მერე უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, თორემ მარტო მეორე ტური ვერ გვიშველის. ჩვენ ინტერესი აღარ არის მეორე ტური. ახლა საპარლამენტო არჩევნებზე ვფიქრობთ, რომელიც ჩატარდება გაყალბების გარეშე. ბინძურ ფულს ჯანსაღი ძალა უნდა დავუპირისპიროთ.

-ვის დაუჭერენ მხარს ლეიბორისტები?

-ჩვენი მხარდაჭერები, ვის დაუჭერენ მხარს, მე როგორ გეტყვით? არჩევნები თავისუფალი ნებაა და ვინ, საით წავა, მათი გადასაწყვეტია. ჩვენ ელექტორატს არჩევანის გაკეთება უწევს ცუდსა და უარესს შორის. ამ შემთხვევაში ვერავის ვერ მოვუწოდებთ რომელიმე კანდიდატს დაუჭირონ მხარი. ორივე მათგანი მიუღებელია ჩვენთვის. როცა მერობაზე ვიყრიდი კენჭს, მაშინ, არ გამიკეთებია მოწოდებები, მხარი დამიჭირეთ მეთქი და ახლა ვაშაძის და ზურაბიშვილის მხარდაჭე-რისკენ ვერავის მოვუწოდებ.

-როგორ შედეგს ელოდებით?

-მეორე ტურის ნებისმიერი შედეგი არის ოლიგარქის წისქვილზე წყლის დასხმა. კიდევ ვიმეორებ ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია. მმართველი პარტიისთვისაც ასე იქნება უკეთესი.

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„არ მინდა ძველი დროის დაბრუნება, მაგრამ მეორეც უვარგისია“

გოჩა ძიმისტარიშვილი (თავისუფალი საქართველო): ასეთ შედეგს არ ველოდი. მეგონა, რომ ოპოზიციურად განწყობილი ხმების 10-15 % განაწილდებოდა სხვა ოპოზიციურ პარტიებზე, მაგალითად, კახა კუკავასა და შალვა ნათელაშვილზე. ვერც კი წარმომედგინა რომ ხალხი ასე აზროვნებს.

-როგორი იყო წინასაარჩევნო გარემო? შედეგზე გავლენა რაიმე სა-ხის რესურსმა იქონია?

-რაც შეეხება გარემოს , ჩვენს ქვეყანაში არჩევნებზე სახელისუფლებო რესურსი ყოველთვის არის გამოყენებული. ამას მე ამჯერადაც ვხედავდი. მობილიზებული ქალბატონები „მარშრუტკებში“, ავტომობილებში სიებით, არჩევნების დღემდე რაც ხდებოდა, ის უკვე ცალკე თემაა.

-როგორია თქვენი პოზიცია მეორე ტურში?

-მეორე ტურთან დაკავშირებით ახლა გავდივართ კონსულტაციებს, მოქალაქეებთან, ოპოზიციურ პარტიებთან.

-შესაძლებელია რომ თქვენ ოფიციალურად მხარი დაუჭიროთ ერთ-ერთ კანდიდატს?

-არ არის გამორიცხული. ვნახოთ. როგორც ვთქვი, მიმდინარეობს სერიოზული კონსულტაციები. მე, როგორც ერთ-ერთ ოპოზიციონერ ლიდერს, მაქვს ოპოზიციური განწყობა ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ, მეორე მხრივ, არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ამხელა პროცენტი აიღო. ეს არის შოკი ჩემთვის. თან მაშინ, როცა სხვა ოპოზიციური კანდიდატები იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, იგივე კახა კუკავა, შალვა ნათელაშვილი, თუ გინდ, უსუფაშვილი. მე არ მინდა „ნაციონალებმა“ გაიმარჯვონ, არ მინდა ძველი დროის დაბრუნება, მაგრამ მეორეც უვარგისია. ჯერჯერობით ჩემს მხარდამჭერებს და ეროვნულად მოაზროვნე ძალებს ვერ გადაგვიწყვეტია რა გავაკეთოთ ამ არჩევნების დროს.

კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს პარლამენტიდან გაიწვევენ

პარლამენტიდან კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს უკან გაიწვევენ. ამის შესახებ ცნობილი პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ გახდა. განცხადება კი პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** გააკეთა.

ირაკლი კობახიძე შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან ერთად დღეს საპატრიარქოში იმყოფებოდა, სადაც საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს შეხვდა.

კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში შეჩერებული იყო. საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ მარიხუანის მოხმარების შესახებ რეგულაციებთან დაკავშირებულ კანონპროექტს განიხილავდა.

DCFTA - შესაძლებლობები გურული ფერმერებისთვის

რეგრანტინგის პროექტის ფარგლებში „საქართველო ევროპულ გზაზე: **DCFTA**-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა" ა(ა)იპ„„გურიის განვითარების კავშირი“ გურიის მასშტაბით მართავს ტრენინგებს ფერმერებითვის.

გასულ პარასკევს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე მოწვეული ექსპერტებმა **თეა კუპრაძემ** და **ლალი გოგუაძემ** ისაუბრეენ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (**DCFTA**) შესახებ და თხილის რეგლამენტის მოთხოვნებზე ქართველი მეწარმეებისთვის.

გურულმა მეწარმემ **ლალი ჩანქსელიანმა** ლიეტუვას პრაქტიკულ მაგალითზე წარმოადგინა „**DSFTA**-ს იმპლემენტაცია.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება "საქართველო ევროპულ გზაზე: **DCFTA**-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა" ქვეგრანტის ფარგლებში არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ. პროექტს ხელმძღვანელობს "აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრი" (**EESC,** ლიტვა). მონაწილე ორგანიზაციები არიან: "საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია" (**ABCO**, საქართველო), "საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი" (**GIP**, საქართველო), "გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი" (**GPI**, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი" (საქართველო), "ათინათი" (საქართველო) და ასოციაცია "კავკასიის გენეტიკა" (საქართველო).

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე იმსჯელეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ „ოზურგეთის მუ-ნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში არსებული პრობლემების შესახებ იმსჯელეს.

მათ შორის ერთ-ერთ საკითხად გურიანთის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე მემორიალური მუზეუმის თაობაზე შექმნილი ვითარება განიხილეს. მუზეუმის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად, კომისიის განხილვის საგანი მერიის მიერ საპრივატიზაციო ნუსხაში წარმოდგენილი მუზეუმის შენობის პრივატიზების საკითხი გახლდათ. სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის **მაია ზოიძის** განცხადებით: „მუზეუმში საგანგაშო ვითარებაა, აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება, რათა მოხდეს შენობის რეაბილიტაცია და გადარჩეს ექსპონატები. მოსახლეო-ბისთვის ასევე მნიშვნელოვანია მუზეუმის არსებობა სოფელ გურიანთაში."

კომისიის თავმჯდომარემ **ლელა საჯაიამ,** პრობლემის მოგვარების მიზნით, მერიის შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებულ მუშაობაზე ისაუბრა. საბოლოოდ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია: "დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა და მოამზადოს გურიანთის მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი და თანხები გათვალისწინებულ იქნას 2019 წლის ბიუჯეტში."

კომისიის სხდომაზევე ყურადღება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმზე გამახვილდა. მერის მოადგილის **ირაკლი სირაძის** განმარტებით:"ცენტრალური მუზეუმის რემონტისათვის გამოყოფილია თანხები და დაიწყება შენობის რეაბილიტაცია."

სანაპიროს ქუჩაზე ასფალტო – ბეტონის საფარი იგება

ოზურგეთში სანაპიროს ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. 530 მეტრი გზის მონაკვეთი რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოებს ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გაეცნო. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 837 036 ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც ასევე მოხდება ჯორჯიაშვილის, გორკისა და ინგოროყვას ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაცია. სამუშაოებს შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი" ახორციელებს.

იყიდება შეშა ხელსაყრელ ფასებში. დაგვიკავშირდით ტელ: 551 57 60 60

შევლენ თუ არა ტროას ცხენით პრეზიდენტის სასახლეში

თემურ მარშანიშვილი

როგორც ჩვენი გაზეთის 22 ოქტომბრის ნომერში ვწერდით, ლეიბორისტული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატის, **შალვა ნათელაშვილის** თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, გარანტირებულია ომი რუსეთთან.

ეს განცხადება ნათელაშვილმა 15 ოქტომბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ადგილობრივ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე გააკეთა.

30 ოქტომბრის „მოამბე-დღის თემის“ პირდაპირ ეთერში ამ საკითხზე დამაფიქრებელი მოსაზრებები გამოთქვეს პოლიტიკური გაერთიანება თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა, ასევე უკვე პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა **კახა კუკავამ** და „ქართული ოცნება - დემოკრატული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა **გედევან ფოფხაძემ,** რომლებიც ღიად საუბრობენ რევანშისტული ძალების გააქტიურებასა და მოსალოდნელ სამოქალაქო დაპირისპირებაზე.

კუკავას თქმით, ვაშაძემ რომ გაიმარჯვოს, მეორე დღიდან შს მინისტრად დანიშნავენ ახალაიას და ისევ იგივეს დაიწყებენ, რასაც 9 წლის განმავლობაში აკეთებდნენ:

„რაც შეეხება დამდგარ შედეგს, ეს არის იმის შედეგი, რასაც ბოლო ერთი წლის მანძილზე აწარმოებდა „ქართული ოცნება“, რომელიც ჩარჩა 2012 წელში და 6 წლის მანძილზე აყვედრიდა ხალხს მხოლოდ იმას, რომ ციხეში აღარ აუპატიურებდნენ პატიმრებს, მეტი არაფერი სათქმელი არ ჰქონია ქართველი ხალხისათვის. როგორც წინა ხელისუფლებამ, ამათაც წინა პლანზე წამოსწიეს უტიფარი სახეები,რომლებიც ხალხს უმტკიცებდნენ, რომ არა ოპოზიცია, ქვეყანაში ყველაფერი მიდის აყვავებისკენ. ჩემი აზრით, პირველ ტურში ვაშაძის წარმატება, „რუსთავი-2-ზე“ უფრო მეტად, განაპირობეს ირაკლი კობახიძის, მამუკა ბახტაძის, არჩილ თალაკვაძის, მამუკა მდინარაძის და სხვების ქმედებებმა.

პირველ ტურში ხალხმა ვაშაძეს კი არ დაუჭირა მხარი, არამედ ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილის უტიფრობის წინააღმდეგ, ვაშაძე იქნებოდა იქ თუ სიკინჭილაშვილი, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, გაგებით მოვეკიდები, თუ ჩემი რომელიმე მხარდამჭერი ხმას მისცემს რომელიმე კანდიდატს, მაგრამ მე პირადად, ხმის მიცემას არც ერთი მათგანისთვის არ ვაპირებ. აგიხსნით, რატომ – რამდენიმე საათის წინ ვუსმინე სალომე ზურაბიშვილის განცხადებას და ვერ დავინახე, რომ მან ერთი შეცდომა მაინც დაინახა. ვერ დავინახე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რამე გადააფასა. ერთი თანამდებობის პირი მაინც გადადგა?! კონსტიტუციაზე, საარჩევნო კოდექსზე, ან სამართლიანობის აღდგენაზე რამე კონკრეტული თქვეს, რის შეცვლას აპირებენ?!

როგორც ვასაძის არ მჯერა, ისე არ მჯერა ზურაბიშვილისა. ვაშაძის შემთხვევაში, პირდაპირ ვიტყვი, მეორე დღესვე შს მინისტრად ახალაიას დანიშნავენ და დაიწყება ისევ ის, რაც კეთდებოდა 9 წლის განმავლობაში. არ მინდა ამაზე პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ არც იმაზე არ მინდა პასუხისმგებლობის აღება, რომ სალომე ზურაბიშვილს მივცეთ ხმა და მეორე დღიდან თალაკვაძემ, მდინარაძემ და სხვებმა უტიფარი ნოტაციები გვიკითხონ.“

წამყვანის შეკითხვაზე, რატომ არ მისცა ხმა ამომრჩეველმა პირადად მას, ან პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს, კუკავამ უპასუხა:

„დავით უსუფაშვილმა და მე ვერ მოახერხეთ გაერთიანება და მესამე ცენტრის შეთავაზება, რაც, ჩემი აზრით, დავით უსუფაშვილის შეცდომა უფრო იყო, თუმცა ამაში ნაწილობრივ საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ...

„ოცნება“ და „ნაცები“ ჩემთვის არ არიან ერთმანეთის ალტერნატივა. მე პირადად მიმაჩნია და მგონი საქართველოს მოსახლეობამაც უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენ მეორე ტური წაგებული გვაქვს, ამ ორიდან ვინც არ უნდა მოიგოს, ჩვენ უნდა ვემზადოთ იმისთვის, რომ მეორე ტურის შემდეგ მაინც მოვახერხოთ, შევქმნათ ეროვნული ძალა, რომელსაც ხაზინა არ გაუძარცვია, პატიმარი არ გაუუპატიურებია, რომელიც სარდაფში არ დაათრევს ბიზნესმენებს. აი ეს ძალები უნდა გაერთიანდეს, ამიტომ ჩვენ უნდა ვემზადოთ, რომ აი ამ არასაპარლამენტო ოპოზიციიდან შევთავაზოთ ქართველ ხალხს მესამე ძალა, მესამე ცენტრი, ეს უკვე შემდეგ არჩევნებზე, რათა მან ერთი ბანდიტის წინააღმდეგ მეორე ბანდიტს არ მისცეს ხმა.

გედევან ფოფხაძე მიიჩნევს, რომ თუ მეორე „ნაციონალების“ კანდიდატი გაიმარჯვებს მოსალოდნელია სამოქალაქო დაპირისპირება. გრიგოლ ვაშაძის არჩევის შემთხვევაში ტროას ცხენი შეგვყავს პრეზიდენტის სასახლეში და როცა მისი ნიშები გაიღება, იქედან გადმობრძანდებიან სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ახალაია, ზონდერები და კრიმინალები:

„ქართული საზოგადოება, ქართული მორალი, ღირსება და მართლმადიდებლური ღირებულებები უბრალოდ ვეღარ გაუძლებს ვაშაძისა და „ნაციონალების“ გამარჯვებას, მიშას დაბრუნებას, მისი რეჟიმის რეანიმაციას და საქართველოზე იმ ძალადობრივი ტალღის კიდევ ერთხელ გადავლას. დღეს ამას ქართველი ამომრჩეველი უნდა აღუდგეს წინ. მას კანდიდატი სჭირდება, რომელთან ერთადაც ამას გააკეთებს და ამიტომ გამორიცხული იყო, სალომე ზურაბიშვილს საქართველოსთვის ეღალატა და თავისი კანდიდატურა მოეხსნა.

ერთად უნდა დავირაზმოთ ძალადობის, ფაშიზმის, ამ უტიფრობამდე მისული ნაბირლების წინააღმდეგ, რომლებსაც მორალური აღარაფერი დარჩათ. მათ ჰგონიათ, ყველაფერი გაუვათ, ნებისმიერი ტყუილი, ცილისწამება და თავიანთი რევანშისტული მიზნების მიღწევას შეძლებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამის რესურსი გვაქვს ქართულ საზოგადოებასთან, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში გვიბრძოლია და ჩვენს სათქმელს ვიტყვით.

ვაშაძის გაპრეზიდენტის შემთხვეაში, ჩვენ უბრალოდ ტროას ცხენი შეგვყავს პრეზიდენტის სასახლეში, მას შემდეგ, რაც შევა სასახლეში, მისი ნიშები გაიღება და იქედან გადმობრძანდებიან ბატონი სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ახალაია, ის ზონდერები და კრიმინალები, რომლებიც თბილისის ქუჩებში დადიოდნენ და ყვიროდნენ, ბადრის რაო და დედას აგინებდნენ საზოგადოებას, მთელ საქართველოს, რომლებიც აუპატიურებდნენ ციხეებში პატიმრებს. ეს ყველა გადმოვა და ეს იქნება ახალი პოლიტიკური მოცემულობა. ე. ი. იმ შემთხვევაში თუ ბატონი ვაშაძე გახდება ქვეყნის პრეზიდენტი, ჩვენ ჩვენი ხელით შეიძლება დავუშვათ ეს მოცემულობა, როდესაც შეწყალების უფლებით ის იგდებს ხელში შესაძლებლობას, ყველა ის ადამიანი, ვინც ცხრა წლის მანძილზე ძალადობდა საქართველოზე, იყოს თავისუფალი, დაუსჯელი, განახორციელოს რევანში და რევანშისტების ფსიქოლოგია, ქმედება და მორალი როგორია, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით.

თქვენ იცით ეს ძალა, მიხეილ სააკაშვილის სახით, რა გეგმებს ისახავს, ძალადობით, სისხლის ღვრით, გვამებით მოვიდეს საქართველოში, ეს არის აბსოლუტურად რეალისტური სცენარი. არაფერს ვიგონებ, ნებისმიერ ქართველს თვითონ შეუძლია გაანალიზოს შექმნილი მოცემულობა, გაანალიზოს ამ ადამიანების ფსიქიკა, გაანალიზოს რა შეიძლება მოყვეს ქვეყანაში ამ მოცემულობას“.

დაუშვებს თუ არა საქართველო ხელისუფლებაში 9-წლიანი რეჟიმის ხელახლა მოსვლას?

ნუგზარ ასათიანი

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ბევრი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში და წარსულთან პარალელების გავლება მოგვიწია.

იტალიელი ბენიტო მუსოლინი ქვეყნის სათავეში ძალადობის გამოყენების მუქარით მოვიდა. თავდაპირველად მის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკა წინ წასწია; გაჰყავდა გზები, სარწყავი არხები, აშენებდა სკოლებს, საავადმყოფოებს, ღარიბთა თავშესაფრებს..მასზე მუშაობდა დიდი პროპანგადისტული მანქანა. მუსოლინი დადიოდა იტალიის ღარიბ რაიონებში და გლეხებთან ერთად მუშაობდა მოსავლის აღებაზე; იდგა სამჭედლოს გრდემლთან, აწყობდა აგურს... მაგრამ შემდეგ თანდათან დაამკვიდრა ქვეყანაში ტოტალური რეჟიმი და 1936 წელს გერმანულ ფაშიზმს დაუახლოვდა, რამაც ქვეყანა მეორე მსოფლიო ომში ჩაითრია და საბოლოოდ იტალიელი ფაშისტების კრახი მოჰყვა..

მიხეილ სააკაშვილი 2003 წლის 23 ნოემბერს შეიჭრა პარლამენტის შენობაში და ხელისუფლებას დაეუფლა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელით მოინათლა. იგი პირველ უცხოურ ვიზიტზე ევროპაში, ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავის ეკონომ კლასით გაემგზავრა, მაგრამ შემდეგ თანდათან გამოჩნდა ხელისუფლებაში მისი მოსვლის მიზანი. თავდაპირველად იგი ეროვნულ ინსტიტუტებს დაერია. გააუქმა ენის სახელმწიფო პალატა, არაერთი სამეცნიერო დაწესებულება და სხვა ინსტიტუტები... პირველი დიდი სიგნალი 2004 წლის 12 მარტს გლდანის ეკლესიის დარბევა იყო, რასაც არაერთი ხმაურიანი სადამსჯელო ოპერაცია მოჰყვა.

პარალელურად ტელევიზიები მოსახლეობას აჩვენებდნენ როგორ ხსნიდა იგი ახალ ფაბრიკა-ქარხნებს (ორჯერ გახსნა სოფ. გაღმა დუაბზუში კაოლინის ნაწარმის ქარხანა, რომელსაც შემდეგ ერთი დღეც არ უმუშავია), იჯდა ტრაქტორის საჭესთან, მართავდა თვითმფრინავს. მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა მის პიარზე მუშაობდა და მოსახლეობას ქვეყნის აღმშენებლობის მითებს უქმნიდა.

2006 წლიდან კიდევ უფრო გაუარესდა ქვეყანაში დემოკრატიის მაჩვენებელი და სხვადასხვა სახის სადამსჯელო ოპერაციები გაძლიერდა, რაც გამოიხატებოდა ბიზნესის წართმევაში, სახელმწიფო რეკეტში, სახელმწიფოსათვის „ურჩების“ დასჯის სხვადასხვა ფორმებში.

2007 წლის ნოემბრის აქცია იყო მოსახლეობის პროტესტის კულმინაცია. დაახლოებით 150 ათასი კაცი შეიკრიბა რუსთაველზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთში ყველა ოპოზიციონერი და მთავრობაზე უკმაყოფილო ადამიანი ძალოვანი სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო და თბილისისაკენ მიმავალი ყველა ჯგუფი დააკავეს, (არ მისცეს წასვლის უფლება), ადამიანთა მცირე ჯგუფმა მაინც შეძლო აქციის მონაწილეებს შეერთებოდა, რომელთა შორის გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტებიც ვიყავით.

ნოემბრის აქცია სასტიკად დაარბია სააკაშვილის რეჟიმმა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, რომელიც რეგიონებში თბილისიდან მოვლენილი ზონდერების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. ხელისუფლებამ ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა არ იკმარა, თავისუფალ მედიაზე და ოპოზიციაზე ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა.

როგორც იქნა, დამთავრდა ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების გამოძიება და დავინახეთ, როგორ გაუსწორდა სააკაშვილის რეჟიმი „მეამბოხე“ ბიზნესმენს.

ხელისუფლებისგან მოკლული სან-

გვ-4

დაუშვებს თუ არა საქართველო ხელისუფლებაში 9-წლიანი რეჟიმის ხელახლა მოსვლას?

ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან 2006 წ.

დრო გირგვლიანი და სიმართლის ძიებაში გარდაცვლილი დედა ირინა ენუქიძე, ციხის კადრები და „კასრების“ საქმე მცირე ჩამონათვალია იმ დანაშაულებრივი ქმედებიდან, რასაც 9 წლის განმავლობაში ახორციელებდა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება საქართველოში.

დღესაც თვალწინ მიდგას 2012 წლის 19 აგვისტოს, ბახმაროს შესასვლელში ე.წ. „სამეგრელოს სპეცნაზისაგან“ დაკავებული 70-მდე გოგობიჭი, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ „ქართულ ოცნებას“ უჭერდნენ მხარს და ოცნების ლოგოიანი მაისურები ეცვათ. მათ ჩემი ოჯახის წევრებიც დააკავეს, რომელთა შორის 2 არასრულწლოვანი იყო.

2012 წლის არჩევნებზე ხალხმა არა უთხრა მოძალადე რეჟიმს. „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი რამ გააკეთა არსებული რეალობის შესაცვლელად, მაგრამ მათ „კოჰაბიტაციის“ წყალობით, ვერ შეძლეს სახელმწიფო სამსახურებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, ამიტომ მუდმივი საბოტაჟის ქვეშ უწევდათ მუშაობა. არ დარჩა მათგან საკმარისი მარტო გზების მშენებლობა და სოციალურად დაუცველი ადამიანების ნაწილითვის სახლის სახურავების შეცვლა. მოსახლეობის მოთხოვნა, რადიკალური ცვლილებებსა და ეკონომიკის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე, ვერ შეასრულეს. უმუშევრობის და სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვი მაღალია, გაიზარდა უცხოეთში ემიგრაციაში წამსვლელთა რაოდენობა, რომლის უმეტესობა ახალგაზრდა ოჯახებია. ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, რიგი მოხელეებისა, პირად კეთილდღეობას ანაცვალებენ ქვეყნის ინტერესებს. შედეგი? მოსახლეობაში დაგროვდა უარყოფითი მუხტი და მათგან ბევრმა არჩევნებზე არმისვლით თავიანთი პროტესტი გამოხატა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ. არჩევნებზე მოსახლეობის 46,74 პროცენტი მივიდა.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ ორ შტოს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და პ/გ „ევროპული საქართველო–მოძრაობა თავისუფლებისთვის“ კანდიდატების გრიგოლ ვაშაძის და დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბებმა მათი ელექტორატის მაქსიმალური მობილიზება შეძლეს და მნიშვნელოვანი შედეგიც დადეს: გრიგოლ ვაშაძემ საერთო ხმების 37,74 პროცენტი; დავით ბაქრაძემ –10,97%. არას ვამბობთ „ნაცმოძრაობის“ სხვა მამრავლებზე.

„ნაცმოძრაობის“ ასეთ მაჩვენებელში დიდი წვლილი მიუძღვის მძლავრ საინფორმაციო კამპანიას. ყოფილი ნაცზონდერები ტელეეკრანებიდან უტიფრად აბოლებენ მოსახლეობას. ისინი არ მალავენ, რომ გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის რეანიმაციას გეგმავენ.

„ქართული ოცნების“ ამჟამინდელმა თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გააუქმა ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“ და საინფორმაციო გადაცემების ფუნქცია ნულამდე დაუყვანა მის მიერ შექმნილ ტელეკომპანია „**GDS**“-ს. არც რეგიონული მედიის განვითარებისათვის შეუწყვიათ ხელი (ფავორიტებს არ ვგულისხმობ), კვლავ არ შეექმნათ მათ თანაბარი კონკურენციის პირობები. ეს და ბევრი სხვა ფაქტორი გახდა მიზეზი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მიერ არჩევნების პირველ ტურში ვერგამარჯვებისა (38, 64 %.)

სამწუხაროდ, არჩევნების დაწყებიდან ოპოზიციის უმრავლესობა მუშაობდა პრინციპით „ყველა ერთის წინააღმდეგ,“ რასაც კარგად ახმოვანებდნენ „ნაცმოძრაობის“ პიარზე მომუშავე საინფორმაციო საშუალებები.

ჩემს სტატიას არ აქვს საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ანალიზის პრეტენზია.

მინდა რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენო ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ოზურგეთთან ურთიერთობიდან. იგი რამდენჯერმე მონაწილეობდა იმჟამინდელი გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ოზურგეთში გამართულ ხალხმრავალ აქციებში. სალომე ზურაბიშვილი მაშინ ოპოზიციური პარტიის „საქართველოს გზის“ ლიდერი იყო.

–„აქ ყველა დამოკიდებულია გარევაჭრობაზე და პენსიაზე, ასე ქალაქი და სოფელი ვერ იარსებებს. როგორც ვხედავ აქ არაფერია გაკეთებული, სხვაგან შადრევანი მაინც არის“ – ამბობდა იგი გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტთან საუბარში. (გაზ. „ალიონი“№20, 14 ივნისი, 2006 წ.)

იმავე წლის „ალიონის“ 13 აგვისტოს ნომერში ჟურნალისტ ნინო ნიკოლაიშვილის წერილი გამოქვეყნდა სათაურით: *„ნუთუ ასეთი ცუდი სახელი გვაქვს გურულებს, ასე რომ მოგვიძულეს პრეზიდენტმა და მთავრობამ?“*

ოზურგეთში მოსახლეობა ხვდებოდა „საქართველოს გზის“ ლიდერს, უყვებოდა მათი გაჭირვების და დამცირების შესახებ და დახმარებას სთხოვდნენ.

„რა დავაშავეთ გურულებმა? ეტყობა მართლა არ კუყვარვართ პრეზიდენტს, ჩვენსკენ საერთოდ რომ არ იხედება?“ მიმართავდა გურულები ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს.

ეს ამონარიდები იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ოზურგეთელისთვის შეგვეხსენებია ის თანადგომა, რასაც „საქართველოს გზის“ ლიდერი იჩენდა ჩვენი რეგიონის მიმართ.

დღეს განაწყებული ამომრჩეველი დგას დილემის წინაშე, დაუბრუნდეს 9-წლიან რეჟიმს თუ განაწყენება გვერდზე გადადოს და საარჩევნო ურნასთან მივიდეს სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად.

ამ დილემის გადაჭრა ხელისუფლებას სწრაფი მოქმედების გარეშე არ შეუძლია. პირველ რიგში მთავრობამ პარლამენტიდან უნდა გამოითხოვის პროექტი მარიხუანას სამედიცინო მიზნით გამოყენების შესახებ, რაც გასულ პარასკევს საქართველოს საპატრიარქოში პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ დაადასტურა, შემდეგ კი მოსახლეობას უთხრას როგორ აპირებს უმუშევრობის მაღალი დონის შემცირებას, ლარის კურსის სტაბილურობას, ფასების ზრდის შეჩერებას, ქართული სოფლის გადარჩენას, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკოლოგიაზე ზრუნვას..

წამზომი ჩართულია. არ დაგავიწყდეთ, მე-2 ტურში „ნაციონალური მოძრაობა“ გამთლიანებული ძალებით დაუპირისპირდება „ქართული ოცნების“ კანდიდატს. ისინი კვლავ მოახერხებენ მათი მომხრეების მობილიზებას, საამისოდ მათ სათანადო იდეოლოგიური მანქანა და ფინანსური რესურსი აქვთ.

ისე, საპრეზიდენტო კანდიდატები მთლად ეგზიტპოლების იმედზე არ უნდა იყვნენ.

„საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთს სტუმრობდა

„რას მოდიოდი დანგრეულ ქვეყანაში?“

გასულ ორშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ჩვენს ქალაქს სტუმრობდა. სალომე ზურაბიშვილის ჩამოსვლის შესახებ სამწუხაროდ მოგვიანებით გახდა ჩვენი გაზეთისათვის ცნობილი (მსგავსი შემთხვევები მრავლად გვახსოვს). როგორც გაზეთ "ალიონისათვის" გახდა ცნობილი, ყოფილი ექს-მინისტრის ვოიაჟი ოზურგეთში უნიფორმალის შენობიდან დაიწყო. მოგვიანებით ზურაბიშვილმა ოზურგეთის კინოთეატრ "ოზურგეთის" ბაღში გადმოინაცვლა. ოზურგეთელებმა პარტია "საქართველოს გზის" ლიდერს თავიანთი პრობლემების თაობაზე ეხაუბრენ: - უმუშევრობა, თხილის ფასის დაკლება. ასევე იყო საუბარი ოზურგეთის ენერგოკომპანიის უკანონო ქმედებებზე.

– ქალბატონო სალომე, რა განსახლეობას და გაიგოს რა უჭირს.

– აქ ყველა დამოკიდებულია გარევაჭრობაზე და პენსიაზე, ასე კი ქალაქი და სოფელი ვერ იარსებებს. როგორც ვხედავ აქ არაფერი არ არის გაკეთებული, სხვაგან შადრევანი მაინ

თბილისში იმყოფებოდა. სამაგიეროდ, როგორც სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ოზურგეთის რაიონული გამგეობის ყველაზე რეინტინგული სახეს მიხეილ გოგოტიშვილს შეხვდა.

მიხეილ გოგოტიშვილის თქმით, წელს ცენტრალურ ბიუჯეტიდან ფიდალი თანხა არის გამოყოფილი გურაიში, კერძოდ ოზურგეთში.

– კეთდება გზები, წყალსადენის პრობლემა გვარდება და წელს ქალაქს წყალი ექნება. ასევე გაკეთდა მინი სტადიონები, შეკეთილში შენდება აკვაპარკი, აგვისტოში დამთავრდება მისი მშენებლობა – უთხრა გოგოტიშვილმა ზურაბიშვილს.

სალომე ზურაბიშვილმა ასევე ისაუბრა ხალხის უმუშევრობაზე, იკითხა რაონული საავადმყოფოს შესახებ. იყო საუბარი თხილის ფასთან დაკავშირებით.

საქართველოს ექსმინისტრმა შეხვედრის ბოლოს წარმატებებს უსურვა ოზურგეთის რაიონს ასი ცირებული საკრებულოს სპიკერ მიხეილ გოგოტიშვილს. ეზიტი

გამოკითხვა: ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი

28 ოქტომბრამდე, ანუ არჩევნების პირველ ტურამდე, გაზეთი „ალიონი“, ატარებდა გამოკითხვას, ვინ გახდება საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი? რადგან ახალი პრეზიდენტი ჯერ კიდევ არ გვყავს, ვაგრძელებთ, გამოკითხვას იგივე კითხვით. ამჯერად უკვე რესპოდენტთა უმრავლესობამ პასუხისაგან თავი შეიკავა..გთავაზობთ რამდენიმე მოქალაქის მოსაზრებას;



ტარიელ მდინარაძე: პრეზიდენტი უნდა გახდეს ზურაბიშვილი, იმიტომ, რომ მინდა მშვიდობა, ევროპასთან ურთიერთობა და მძულს ნაციონალები, მძულს.

ნელი ბერიძე: მინდა ისეთი ვინც ხალხისთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს და ნორმალურ პირობებს შემოგვთავაზებს. ვინ გახდება არ ვიცი თუ ვაშაძე იქნა პრეზიდენტი დაბრუნდებით იმ ძველ წლებში, სისხლისღვრაში, მკვლელებში ჩავვარდებით.



უცნობი: თავისთვის იბრძვის ყველა. წინა რეჟიმის დაბრუნება არ მინდა, მაგრამ ივანიშვილმა, შეცდომა დაუშვა კანდიდატად, ზურაბიშვილი რომ დაასახელა.



თამარ ხომერიკი: არ ვიცი ვინ გახდება პრეზიდენტი, მაგრამ მე პირადად, ქალბატონს გავუჭერდი მხარს.

ზაზა გოლიაძე: არ ვიცი ვინ იქნება პრეზიდენტი. მე არცერთი არ მინდა. არც მესამე ძალა არ ჩანს რეალური.

გია მჟავანაძე: პრეზიდენი გახდება ხალხის რჩეული, მაგრამ ვის აირჩევს ხალხი წინასწარ როგორ გითხრა? მაგას რომ ვხვდებოდე წინასწარ აქ კი არ ვიქნებოდი. მე ვის ვაძლეც ხმას? ერთი საიდუმლო მაქ და ეს მაინც დამიტოვეთ ჩემთვის.



ეთერ ჯაში: ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით ვაშაძეს აქვს შანსი.



რუსლან შაინიძე: ხალხის არჩევანია.არვიცი. ზურაბიშვილმა უნდა გაიმარჯვოს.



თემურ გოგუაძე: ვაშაძე გახდება პრეზიდენტი. რეიტინგებიდან ასე ჩანს.

გულნარა ნინიძე: მგონი სალომე გახდება პრეზიდენტი.

ავთო ბურჯულაძე: ვაშაძე გახდება პრეზიდენტი. ხალხის განწყობიდან ასე ჩანს.

უცნობი: ბიძინა უნდა წავიდეს და პრეზიდენტი ის კაცური კაცი (ვაშაძე) უნდა გახდეს. ტევა არ იყო ოზურგეთის ცენტრში იმდენი სიკეთე რომ დაგვპირდა ბიძინამ, მაგრამ სადაა.უნდა წევიდეს, მოშორდეს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული კამპანიის აქტივობები ოზურგეთში

2018 წლის 7 ნოემბერს ოზურგეთში გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვედეთის საელჩო საქართველოში სოციალური კამპანიის „თანასწორობა გვჭირდება“ მეორე ფაზას ოზურგეთში წარადგენენ.

რეგიონალური აქტივობების ფარგლებში ოზურგეთის სოციალურ კაფეში „8+1“, 11:00 საათზე გაიხსნება თანამონაწილეობითი პერფორმანსი-ინსტალაცია.

გახსნის ცერემონიაზე მონაწილეებსა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს, გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის ხელმძღვანელი, მაკა მეშველიანი.

ოზურგეთელმა ომის ვეტერანებმა კოოპერატივი შექმნეს

დააკმაყოფილებს თუ არა ხელისუფლება მათ თხოვნას 200 ათასი ლარის სესხად გაცემაზე

ალიონი. ოზურგეთელმა ომის ვეტერანებმა ხორცისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი შექმნეს. ამის შესახებ გასულ ხუთშაბათს, 1 ნოემბერს გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **გენო ჭელიძემ** გვითხრა:

„გურიაში 600-მდე სოციალურად დაუცველი და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ომის ვეტერანია, რომლებიც ნამდვილად კრ--იზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩვენი ძალებით, შეძლებისდაგვარად, ბევრს დავეხმარეთ სამკურნალწამლო საშუალებებით, რამდენიმე მათგანი კლინიკა „ლანცეტშიც“ კი მოვათავსეთ, სადაც ჩაიტარეს დიაგნოსტიკური კვლევები და გაიარეს მკურნალობის შესაბამისი კურსები, მაგრამ ცხადია, რომ ამ დამსახურებული ხალხის სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ ჩვენი ძალისხმევა არ არის საკმარისი. ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, დიდად არ წყალობს ომის ვეტერანებს.

ოზურგეთში 221 აფხაზეთის ომის ვეტერანია, მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დასაქმებული, დანარჩენები სოციალურად გაღატაკებულ ფენას წარმოადგენენ და თვეში 22-ლარიანი დახმარების ამარა არიან დარჩენილი. ჩვენი ორგანიზაციის სახელით, რამდენჯერმე მივმართე ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაეთვალისწინებიათ ომის ვეტერანთა დახმარების ხარჯები, მაგრამ ამაოდ. ეს მაშინ, როდესაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თითოეულ ომის ვეტერანს, დახმარების სახით, თვეში 50 ლარი ეძლევა, სოციალურად გაჭირვებულ ომის ვეტერანს კი – 100 ლარი. ადგილობრივ ბიუჯეტში ომის ვეტერანთა დასახმარებელი თანხების გათვალიწინებით იურიდიულად არაფერი ირღვევა, უბრალოდ, ნება უნდა იყოს ასეთი, მაგრამ, როგორც ჩანს, ლანჩხუთის ადგილობრივი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ოზურგეთის თვით მმართველობას არ აქვს ასეთი ნება.

ამ რთული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, შეექმნა ხორცისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი. რომელშიც 10 ომის ვეტერანია გაერთიანებული. კოოპერატივი ოფიციალურად დღეს, 1 ნოემბერს დაფუძნდა. დაბა ლაითურში, ჩოლოქში შევიძინეთ ფერმის შენობა. გვაქვს სამი ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი, გარდა მისა, არენდით გვაქვს აღებული 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. საკუთარი ხარჯებითა და ხელისუფლების ხელშეწყობით, გვინდა შევიძინოთ 40 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რისთვისაც ვითხოვთ არა დახმარებას, არამედ სესხად, ხუთწლიანი ვადით, 200 ათასი ლარის გადმოცემას. ამის შესახებ პირადად ვესაუბრე ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, რომელიც უკვე შეხვდა ეკონომიკის მინისტრს და იმედიანად შეგვეხმიანა“.

როგორც გენო ჭელიძემ გვითხრა, ვეტერანები მხოლოდ ომში არ ამტკიცებდნენ ქვეყნისადმი ერთგულებასა და თავდადებას, მათ უმრავლესობას შესწევდათ და შესწევთ უნარი, საკუთარი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობაში, საკუთრივ გამომუშავებული ფულით სოციალურად და ეკონომიკურად უზრუნველყონ თავიანთი ოჯახები. საამისოდ კი საჭირო და აუცილებელია ბრძოლასა და შრომაში გამობრძმედილი ომის ვეტერანების დასაქმება, შრომითი საქმიანობის საწყის ეტაპზე მათთვის ხელშეწყობა.

სესხის მიღებისა და დასახული მიზნის სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში, ვეტერ-ანთა კოოპერატივი აპირებს პირუტყვის სულადობის გაორმაგებას, ანუ 80

ტყვეთა სყიდვა საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



XIX საუკუნემ XVIII საუკუნისაგან მემკვიდრეობით მიიღო ადამიანებით ვაჭრობა (ტყვეთა სყიდვა). ეს დამღუპველი მოვლენა ვერ მოსპეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ და იმერეთის მეფე სოლომონ I-მა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ვერც რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ტყვე-თა სყიდვის ერთბაშად აღკვეთა. XIX საუკუნის დამდეგიდან ტყვეთა სყიდვა უკვე სხვა ვითარებაში ხდებოდა.

1. **ადამიანებით ვაჭრობის მიზეზები**. XIX საუკუნის დამდეგისათვის სახელმწიფოებრიობის გაუქმებასთან ერთად საქართველოს სხვა უბედურებაც დაატყდა თავს. სტიქიის მძვინვარებას, წყალდიდობებს, მოუსავლიანობას თან დაერთო სახადი (შავი ჭირი). 1810 წელს ოსმალეთიდან გავრცელებული შავი ჭირი მთელ სამხრეთ და ჩრდილო კავკასიას მოედო. ქართლის, კახეთისა, იმერეთისა და გურიის გარდა, შავი ჭირი გავრცელდა დაღესტანში. ჭირმა განსაკუთრებით იმძლავრა ქალაქებში: თბილისში, დერბენტსა და განჯაში. თბილისი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან, ადამიანები თავს აფარებდნენ სოფლებს. **ქართლსა და კახეთში შავმა ჭირმა იმსხვერპლა 2.042 მამაკაცი, 1.646 ქალი და 567 ბავშვი.მსხვერპლი უთუოდ მეტი იქნებოდა, რადგან დაავადების და გარდაცვალების შემთხვევები ყოველთვის არ აღირიცხებოდა. გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო იმერეთში.** 1810-1811 წლების წყალდიდობამ გაანადგურა საცხოვრებელი სახლები, ნათესები, პირუტყვი. გადარჩენილ ნათესებს შეესია

მომრავლებული მღრღნელი. მოშიმშილე მოსახლეობას 1810 წელს თავს დაატყდა შავი ჭირი.

სულ მცირე დროის განმავლობაში იმერეთში ოფიციალური ცნობით მთლიანად ამოწყდა 12.000 ოჯახი. 1812 წლის 1 მარტამდე შავმა ჭირმა იმერეთში იმსხვერპლა 32.750 ადამიანი. შიმშილსა და შავ ჭირს განერიდა და გადაიხვეწა 7.450 ადამიანი.

შიმშილისა და ავადმყოფობისაგან გატანჯულნი ლუკმაპურისათვის ზოგჯერ საკუთარ შვილებსაც კი მონებად ყიდდნენ. 1812 წლის 1 მარტისათვის იმერეთში ორივე სქესის 2.000 ადამიანი იქნა გაყიდული. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1812 წლის 30 იანვრით თარიღდება, აღნიშნულია, რომ გლეხმა ქრიშობელა კოსტავამ თავად დავით თარხანს საკუთარი შვილი დარეჯანი მიჰყიდა იმის გამო, რომ ოჯახი შიმშილობდა და შვილიც შიმ-შილით უკვდებოდა. მეორე დოკუმენტი, რომელიც იმავე 1812 წელს არის შედგენილი, ნასყიდობის წიგნს წარმოადგენს. ჭანტურიძე და მისი მეუღლე მარიამი იოსებ ციხისთავისშვილს უდასტურებენ, რომ გაჭირვების გამო შვილი თევდორე მათ მიჰყიდეს და საფასური სრულად აიღეს. ადამიანებით ვაჭრობით ხელი მოითბეს მევახშეებმა, რომლებიც გაცემული ვალს ხშირ შემთხვევაში ადამიანების, მეტწილად ბავშვების, სახით იბრუნებდნენ, რომელთაც შემდეგ ოსმალეთში ყიდდნენ.

1810-1811 წლებში მოუსავლიანობისა და ჟამისაგან გატანჯული მოსახლეობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ჭარ-ბელაქნიდან ლეკებისა და ახალციხის საფაშოდან შემოსული ოსმალების თარეშმა. ლეკები და ოსმალები იტაცებდნენ ადამიანებს და პირუტყვს, მიჰქონდათ ხორბლის უკანასკნელი მარაგი. საქართველოს მთავარსარდალმა ალექსანდრ ტორმასოვმა 10.000 მანეთი გამოყო და ყირიმში ხორბლის სერიოზული მარაგი შეისყიდა. ხორბლის დიდ ნაწილს საქართველოში არ ჩამოუღწევია, რადგან ხერსონესის, ფეოდოსიისა და ტაგანროგის ნავსადგურებში გემებიდან ხორბალი მოიპარეს.

იმერეთამდე ხორბალმა დაგვიანებით და ძალზე მცირე რაოდენობით მიაღწია. იმერეთში 1811-1812 წლებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ მოგვიანებით, 1817 წელს, საქართველოს მთავარსარდალი **ალექსეი ერმოლოვი** რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა: „ამ ხალხის მიერ ორი წლის განმავლობაში განცდილი ყოველგვარი უბედურების შემდეგ, რაც ეწია მტერთა შემოსევისა, შინაგანი ავჯანყებისა, არაჩვეულებრივი წყალდიდობისა, შიმშილობისა და შავი ჭირისაგან, საჭიროა საკმაო დრო, რათა უამისოდაც ღარიბ ხალხს შეეძლოს თუნდაც საშუალო მდგომარეობამდე მიღწევა. შიმშილმა და ჟამმა ამოწყვიტა თითქმის მესამედი იმერეთის მოსახლეობისა, მეორე მესამედზე მეტმა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავი შეაფარა ოსმალეთის სამფლობელოებს და გაიფანტა საქართველოს სახვადასხვა ადგილას.“ იმავე მოხსენებაში ალექსეი ერმოლოვი წერს: მოსახლეობას ისე გაუჭირდა, რომ „მამები პურის ნატეხისათვის ყიდდნენ თავიანთ შვილებს სამუდამო მონობაში, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე ტოვებდნენ შიმშილისაგან არაქათგამოცლილ თავიანთ ყრმებს“. შიმშილისაგან თავის დაღწევის გზა არ ჩანდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ადამიანებით ვაჭრობას. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში კვლავ გრძელდებოდა ლეკების მიერ ადამიანების გატაცება და ტყვეთა ბაზარზე მათი გაყიდვა.

ამ ტრაგედიას კიდევ სხვა უბედურებაც დაემატა. რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომის დროს ახალციხის, ყარსისა და სხვა სა-ფაშოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე რეგულარულად შემოდიოდნენ მძარცველთა რაზმები და ადამიანებს იტაცებდნენ. ქვეყნის შიგნით ადამიანებით ვაჭრობას ხელი შეუწყო დიდმა შიმშილიანობამ. გაყიდულთა, ძირითადად ბავშვების, ნაწილი ოსმალეთის ტყვეთა ბაზარზე ხვდებოდა. მევახშეებისათვის ვალის სანაცვლოდ მიცემული ადამიანების დიდი ნაწილი, უმეტესად მოზარდები, ასევე ოსმალეთის მონათა ბაზარზე იყიდებოდა. საქართველოდან მოტაცებული ადამიანებით ვაჭრობას მისდევდნენ ლეკები და ოსმალები. ქართველები ოსმალეთის მონათა ბაზარზე სხვა გზითაც ხვდებოდნენ – ადამიანებს იტაცებდნენ და ყიდდნენ თვით ქართ-ველებიც...

ლეკთა და ოსმალთა თარეშს საზღვარი არ უჩანდა. 1818 წლის 7-8 ივნისს, ახალციხის საფაშოდან და აჭარიდან ოსმალთა რაზმი შეუმჩნევლად შემოვიდა იმერეთში. მძარცველებმა გვერდი აუარეს საზღვართან ახლოს განლაგებულ რუსეთის ჯარის საგუშაგოებს და ერთი სოფლიდან ოთხი ოჯახის ყველა წევრი გაიტაცეს, ორი ოჯახი თავად ჩიჯავაძისა, ხოლო ორიც თავად ლორთქიფანიძის გლეხები იყვნენ, სულ 39 სული. შეჯახებისას დაიღუპა ორი ქართველი და ორი ოსმალო. ოსმალთა რაზმს მდევარი გამოუდგა, მაგრამ უშედეგოდ. 1819 წლის 9 აპრილს **გურიაში** აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი შემოიჭრა და ტყვე აიყვანა, მაგრამ მდევარმა ოსმალებს ტყვეები დაატოვებინა.

1822 წლის ივლისში ახალციხიდან იმერეთში 200 კაცი შემოიჭრა და ვაკის მაზრის სოფლების გაძარცვა სცადა, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ ყაჩაღები უკუაქცია. 1821 წელს ლეკთა რაზმები ბაშ აღას მეთაურობით ახალციხიდან ქართლში შემოიჭრნენ და ხუთი ყმაწვილი გაიტაცეს. პოლკოვნიკებმა პიოტრ ლადინსკიმ და კონსტანტინე სავარსამიძემ ლეკთა რაზმის დევნასდიდი დრო შეალიეს, მაგრამ მძარცველთა კვალს ვერ მიაგნეს.

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918, ტ. 1. გვ.278-280)

(გაგრძელება იქნება)

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების და მათი ბიოლოგიური ოჯახების პრობლემები

ალიონი. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საკუთარი კვლევის შედეგები გააცნო საზოგადოებას. კვლევა ეხება სახელმწიფოს ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებებს.

სალომე ჭიჭინაძე (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის სოციალური კომპონენტის მენეჯერი): კვლევა დავგეგმეთ იმის გამო რომ ბავშვები, რომლებიც არიან სახელმწიფოს ზრუნვის სისტემაში, ხანგრძლივად ვეღარ ბრუნდებიან საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის პროგრამით. აქედან გამომდინარე ჩვენი ინტერესის სფერი იყო რა საჭიროებების წინაშე დგანან ეს ოჯახები? რატომ ვერ იბრუნებენ ბავშვებს დროულად, რის გამოც ისინი შეიძლება 18 წლამდე იყვნენ სისტემაში დარჩენილები? რა მხარდამჭერი სისტემები უნდა განვითარდეს ქვეყანაში, ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე, იმისთვის რომ ოჯახებს შეევსოთ ის დისფუნქციური საჭიროებები რომელიც ამ ეტაპზე აქვთ. კვლევის ინსტრუმენტი გვაძლევდა იმის საშუალებას დეტალურად გამოგვეკვლია საჭიროებები. ინდივიდუალურად შევდიოდით თითოეულ ოჯახში და თითოეულ წევრთან გვქონდა საუბარი. ვეკითხებოდით რა საჭიროებები ქონდათ იმ პერიოში, როცა ბავშვი ყავდათ სახლში გამოყვანილი ასევე მას შემდეგ? რამდენად შეიცვალა მდგომარეობა დინამიკაში ?

კვლევა ჩატარდა როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ასევე ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. მოიცავდა გურიის რეგიონში მცხოვრებ 26 ბიოლოგიურ ოჯახს, რომელთაც შვილები ამ ეტაპზე არიან ახელმწიფო ზრუნვაში. კვლევა ჩატარდა აპრილის თვეში.

მადლობა მერს!

დღითიდღე მშვენდება და ლამაზდება ჩვენი ოზურგეთი. იგება გზები, რეაბილიტაცია უტარდება შენობებს.

გვეამაყება, რომ ეს ხალხის არჩეული მერის, ბატონი კოტე შარაშენიძის დამსახურებაა.

გვახარებს, რომ ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე, მრავალსართულიანი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მშენებლობა დასრულდა. იგი შეიღობა ძვირადღირებული მოავჯირით, რაც უსაფრთხოა პატარებისათვის. გაკეთდა ფანჩატური, დამონტაჟდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, დაიგო ფილები. მომავლაში გვპირდებიან გარე ფასადის კეთილმოწყობას.

ჩვენი მოსახლეობის ოცნება იყო, ჩვენს პატარებს ჰქონოდათ დაცული მოედანი, ჩვენ კი – დასასვენებელი ადგილი. ეს ოცნება აგვიხდა.

გვჯერა ბატონი კოტე შარაშენიძის. მადლობას ვუხდით მას, თავის გუნდთან ერთად და ვუსურვებთ წარმატებებს ოზურგეთის საკეთილდღეოდ.

ნ. ნიკოლაძის ქ. №54-ის მცხოვრებლები.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „წიგნის სასწაული დღესასწაული მეორე საჯარო სკოლაში“, მესამე აბზაცის ზემოდან მეექვსე სტრიქონში ნაცვლად „ელენე კალანდაძეს“, უნდა ეწეროს „ელენე ვაშალომიძეს“.

<u>სულთათანა</u>

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პრო-ფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ვაკიჯვრის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, უკეთილშობილესი ქალბატონის **ანიკო ინწკირველის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



№ 41-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – იოსებ გრიშაშვილი; სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში – ბრაზილია; მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკაში – ანდები; თვითმფრინავის სარკელი – ილუმინატორი; ქალაქი საფრანგეთში – ლიონი; ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში – ანდორა; ნაბიჯი ცეკვაში – პა; რეალის თავდამსხმელი – ბელი; მდინარე საქართველოში – ლიახვი; მუნიციპალიტეტი თბილისში – ისანი; გაუთხოვარი – შინაბერა; ივანიშვილის ვაჟი – ბერა; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – მთისპირი; არსაკიძის ზედმეტსახელი – უტა; დიდი ისტორიული მონაკვეთი – ერა; ქართველი წმინდანი – ილია; ძიუდოს ხალიჩა – ტატამი; აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი – რეიგანი; ჩითილის გამოსაყვანი – სათბური; სწრაფად მზარდი მკვრივმერქნიანი მცენარე – ბამბუკი; ენის დამცავი მეცნიერება – გრამატიკა; ქოფაკი – ავი; ქალის სახელი – აზა; ტალახით განთქმული კურორტი – ახტალა; მესამე ხმა – ბანი; დათვის თათი – ტორი; ძველებური სპილენძის ჭურჭელი – თუნგი; მსახიობი ... აბაშიძე – ლეილა; მახვილი – ბასრი; სახელმწიფო აფრიკაში – ნაურუ; სამხედრო წოდება – მაიორი; ვიზუალური პროპაგანდა – რეკლამა; უარყოფა – არა; მუსიკალური ინსტრუმენტი – დაირა; ჩამონათვალი – სია; ლომის მმლეავი მწერი – კოღო.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

გუგუნავები

სიმონ გუგუნავა

,,გუგუნავა გურიის ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულოა.ამ სახლის პატივი ერთ დროს ქვემო გურიის ერისთაობა იყო,რაც გვიან შუასაუკუნეებამდე გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც ერისთავებმა სამმართველოდ მიცემული ქვეყნები სამემკვიდრეოდ აქციეს, საერისთაოების ადგილას სათავადოები ყალიბდებაეს რეგრესული პროცესი ჩვენში ქვეყნის წინსვლის შემფერხებელი ნაყოფი იყო და დიდი ჭირიც მოუტანა საქართველოს.

საგუგუნავო „ქვეყანა“(სათავადო) პირველად ქვემო გურიაში წარმოიქმნა, სათავდვირიძოსა და სამნველიშვილოს გვერდით. შემდეგ კი, როცა ამ მხარეს ოსმალები დაეუფლნენ (XVIII ს.) მოიშალა აქ ქართული ფეოდალური სისტემა და იქაური თავადებიც გურიის შიდა მხარეებში დამკვიდრდენ: გუგუნავები ძიმითს,თავდვირიძენი –აკეთს და ა.შ.

გუგუნავათა საგვარეულოს უძველეს წარმომადგენელთა სახელებს ჩვენამდე არ მოულწევია,ის პირები კი,რომლებიც ქვემო გურიის ეპიგრაფიკული ძეგლებით არიან ცნობილი, გვიან შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ, მათ შორის ცნობილი არიან ვახუშტი გუგუნავა და მისი მეულლე ლელა, რომლებიც ვეხანჯურის წმინდა გიორგის ხატის მხედრულ წარწერაში იხსენიებიან. ვახუშტის თანამედროვე იყო ჩითან (პირველი) გუგუნავა, რაც IV გურიელის 1764 წლის ერთი წყალობის წიგნშია დადასტურებული.

ამავე დროს უნდა ეცხოვრა თითქოს ,,ერისთავად კურთხეულ“ იმ ალექსანდრე გუგუნავასაც ,რომელიც ,,სიღარიბიდამ“ დახსნას შესთხოვს“ღმერთსა და სახარების მადლს“(ერთი ოთხთავის მხედრული მინაწერი).სამკვიდრო ქვემო გურიიდან აყრამ და ძიმითში გადმოსახლებამ, მცირე ეკონომიკური ზიანი როდი მიაყენა გუგუნავებს,მაგრამ თავიანთი გამჭრიახობით მთ მაინც შეძლეს გურიის სამთავროს ფეოდალური არისტოკრატიის მოწინავე რიგებში ჩადგომა .ამ სახლის პატივი იყო მდივანბეგობა, რომელიც პირველად ჩითან (პირველს) ეპყრა.

გუგუნავათა საგვარეულოს ამშვენებს სახელი დათა გუგუნავასი - გურიის 1841 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და კავკასიის ომის გმირისა,განთქმული სპორტსმენის, მოლექსე-მომღერლის და თამადის.

ამ გვარის კულტურულ-პროგრესული მოღვაწეობა ახალ ხარისხზე აზიდა დათას სახელოვანმა შვილმა სვიმონ (მეორე) გუგუნავამ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი იყო.ამ გარემოებამ და უკვდავმა ,,თამარიანმა“ სვიმონ გუგუნავას თვალსაჩინო ადგილი დაუმკვიდარა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობასა და სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

დაუვიწყარი მოღვაწენი მოგვცა დათას უფროსი ძმის ჩითანის (მეორე) ოჯახმაც, მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა გიორგი გუგუნავა, რევოლუციურ-რაზნოჩინელი აზროვნების ერთ-ერთი პიონერი გურიაში.

გიორგი გუგუნავას ოჯახში აღიზარდა ბრწყინვალე მხატვარი ,,ქართული მადონას“ შექმნელი ივანე (ჩითან) გუგუნავა (1800-1819)“(იური სიხარულიძე- ,,გუგუნავები“).

ამ ისტორიული წაღსვლის შემდეგ საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ თქმულება გუგუნავების გვარის წარმოშობის შესახებ. თქმულება ჩაწერილია 1930 წელს... ,,ძველად ახლანდელი ქობულეთის მიდამოებში ცხოვრობდნენ განთქმული მეთევზე ძმები: გუგუ, გეგე, წუწუ და ჩაგუ. მოიკითხა მეფემ, ძმები რას შვებიანო-და უპასუხეს: გეგე ნავობს ,გუგუ ნავობს,წუწუ ნავობს, ჩაგუ ნავობს...ამიტომაო, - განაგრძობს თქმულება—მათ მემკვიდრეებს გვარად ეწოდათ: გუგუნავა, გეგენავა, წუწუნავა, ჩაგუნავა.

გუგუნავა ქობულეთის მიდამოებიდან ძიმით-ნაგომარში გადმოსახლდა,სხვები სხვა სოფელშია,არსებობს თქმულება,რომელშიც პირიქითაა აღწერილი ეს - რიგი ოჯახები გურიიდან აჭარაში გადასახლდნენ. ამიტომ აქეთ საერთო გვარები და ზოგიერთები ნათესაობენ კიდეკო.

გუგუნავას ზოგი ოჯახის ქობულეთიდან ძიმითში გადმოსახლების აზრს ისტორიული საფუძველი გაჩნია. ასე მაგალითად,ექვთიმე თაყაიშვილი ერთ-ერთი ხატის წარწერაში აჭარელ-გურულ გუგუნავების ნათესაური კავშირების შესახებ წერს:,,ეს ხატი, როგორც წარწერა უჩვენებს, წინეთ ჰკუთნებია თეორონის ეკლეესიას, რომელიც ქობულეთის მახლობლად არის ბათუმის ოლქში,თვით გუგუნავანი, ახლანდელ ძიმითში მსახლობელნი თავადები ,ქობულეთიდან არიან ამოსულნი, იმ დროს, როცა მთ ამაჰმადიანებდნენ ოსმალები“ (ეთაყაიშვილი ,,არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“.თბ.1907 გვ.29).

ქობულეთის, ძიმით-ნაგომარსა და სხვა ადგილების გარდაც,გუგუნავები გვხვდებიან ბათუმსა და აჭარის სხვა ადგილებში, გურიაში - ლანჩხუთში, ოზურგეთსა და თბილისში, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც.

მე-18 საუკუნის ცნობილი გურიის გუგუნავები თავადები იყვნენ,აჭარის გუგუნავები-აღები,სამეგრელოსი-აზნაურები (ჟინოსქეა).

იოსებ მეგრელიძეს თავის წიგნში ,,გუგუნავები“ მოყვანილი აქვს ერთი ფაქტი,რომ: ,,იტალიაში ყოფნის დროს სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს შეხვდა ტყეებს, რომელთაგან ერთი გუგუნავა სეხნის შვილი იყო. მხატვრულ პროზაშიც ვკითხულობთ: საბა ორბელიანმა იქვე ინახულა 17-18 წლის სიმონ გუგუნავა,რომელიც მს მუხლებში ჩაუვარდა და ხვეწნა-მუდარა დაუწყო: ,,მიშველეთ ბატონო, ქართველი ხუთი წელიწადია აქ ვიმყოფები...შინ წამიყვანე და მონად გაგიხდები“. აღმოჩნდა,რომ იქ ოცამდე ქართველი იყო, ისინი წარსდგნენ სტუმარ საბას წინაშე და მთ შორის ,,ერთ ქალს ძუძუთა ბავშვი ეჭირა“. ქალს უთქვამს : ,,გურიაში დამატყვევეს,ბატონო,შემდეგ ურჯულოთაგან ქრისტიანებმა დამიხსნეს და ეს სამი წელიწადია მალთაზე ვარ, ქმარი ქართველი მყავსო.“(იოსებ მეგრელიძე, ,,გუგუნავები“, 1987 წ.გვ.12). ,,გუგუნავები გურიაში 300 წელზე მეტია, რომ თავდებად იწოდებიან,ეს პატივი მთ სამოქალაქო ცხოვრებაში წარჩინებითა და თავდაჩსმელთა, განსაკუთრებით ოსმალთა, წინააღმდეგ ბრძოლაში დაიმსახურეს. ერთ-ერთ გუგუნავას ლაშქრობაში თავდადებისათვის ერეკლე მეორემ ხმალი აჩუქა რუსეთ-თურქეთის ომებში განსაკუთრებული დამსახურების გამო. რუსეთის იმპერატორმა 1850 წლის 6 დეკემბერს დაწერა გურიის ,,ოჯახებრივი სა“ მასში დასახელებულ გუგუნავების ოჯახებს მიენიჭათ იმპერიის თავადის წოდება. სიაში პირველნი არიან პრაპორშჩიკი დავით სიმონის ძე გუგუნავა, მისი მეულლე ელისაბედი,ვაჟი სიმონი,დავითის ძმა სეფედავლე, მისი მეულლე ნინო და ამათი ასული გულჩინა. მაშინ ეს გუგუნავები სოფელ ძიმითში ცხოვრობდნენ და მახლობლად მდებარე მდინარე სუფსის ჭალები და მთათა ტყეები, საგურიელო და საერისთავო მიწების გამოკლებით,ძიმითელ და აკეთელ გუგუნავებს ეკუთვნოდათ.

ძიმითიდან გუგუნავა ბატონყმობის გადავარდნამდე მეზობელ სოფელ ნაგომარში განშტოებულა, რადგან ეს ცენტრალურ გზაზეა ჩოხატაურ-ოზურგეთს შორის და სხვა მხრივაც მოსახმარია. ნაგომარს 1896 წელს თედო სახოკია უწოდებს ყოფილ ,,მეორე სამოურაოს გურიელისა“ და დასძენს ,,მოურავად აქ ოჯდა თავადი გუგუნავა,სახელი გომი ნახირთა სადგომს, ფარეხს ნიშნავს ნაგომარი-ნაფარეხალს,მაგრამ სიმაგრედაც ესმით.“(იოსებ მეგრელიძე ,,გუგუნავები“ 1987წ.გვ.15).

ნაგომარის ცენტრიდან (ბაზარი) აღმოსავლეთით მდინარე სუფსის მარცხენა შესართავთან გუგუნავების კომკი,დათა გუგუნავას სასახლე, რეაქციის პერიოდში ჟანდარმერიამ დაწვა,გუგუნავებს სიმაგრე ჰქონიათ მოედნის სამხრეთ- დასავლეთით ცხავათის კონცხზე,რომელიც, ერთი მხრივ,ბახვის წყლის სუფსაში შესართავს გადაჰყურებდა. მის გაღმა - ნასაკირალს, გამოღმა - სამხრეთით ,,წყავის ტყეს“ და მთელ აღმოსავლეთ გურიას.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში 17 ივლისიდან პირველ აგვისტომდე გურიის უკანასკნელმა მთავარმა მამია მეხუთე გურიელმა დედის მარინა წერეთლის საპატივცემულოდ დააწესა მარინობა, ე.წ. მარიამობის ბაზრობა, რომელსაც ,,იარმურკას“ ეძახდნენ. ბაზრის მოედანი და ზემოთ ხსენებული რიგი ჭალები გუგუნავებს ეკუთნოდათ, რაც მეპატრონეების ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

გურულ გუგუნავათაგან ლიტერატურაში პირველად იხსენიება გულჩინ გუგუნავა. გაზეთი ,,დროება“ (1876 წელი). გვამცნობს: ,,ეს ჩვენი დროის მეფეების ტაქსა გადმოქცა ერთმა ჩვენმა ნაცნობმა, რომელსაც იგი ენინა გულჩინ გუგუნავასაგან მოულია“.

სოფელ ,ძიმითის საყდრის ერთ-ერთი ხატის წარწერაში იხსენიება ვახუშტი გუგუნავა. ამავე ეკლესიის ზარის წარწერით მის შემწირველად ითვლებიან გიორგი და სვიმონ გუგუნავები. იგივე გიორგი სიმონ და ბეჟან გუგუნავები მამია V გურიელის დროსაც ჩანან. მთგან სვიმონს და ბეჟანს 1818-1822 წლებში მდივანბეგს უწოდებდნენ. დიმიტრი ბაქრაძეს აცანაში უნახავს ძიმითიდან მოტანილი კვირიკეს სახელობის ეკლესიის ხატის წარწერა: ,,წმინდა გიორგი ვეხანჯირისა!... შეგამკეთ და შემოგწირეთ კუბო ესე მე გუგუნავამ ვახუშტიმ და თანამეცხედრემ ჩემმან ბატონის გურიელის სახლისშვილმა, დადიანის ქალმა ლელამ ძთა ჩვენთა აღსაზრდელად სულთა ჩვენთა საოხად დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ საუკუნოდ,ამინ და კირიელეისონ“ .(ბაქრაძე“ მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“1987 წ.გვ. 247).ეს სიმონ გუგუნავა დიდი დათა გუგუნავას მამა იყო მდივანბეგი(დივანბეგი-მოსამართლე,მსაჯული) .რომელიც,ზოგჯერ მდივნობდა კიდეკო.სიმონ გუგუნავა 1826 წელს კაპიტნად იწოდებოდა, გადმოგვცემს წყაროები.

ქუთაისის მუზეუმის ფონდში დაცულ განცხადებას,რომელიც სიმონ გუგუნავას მიერ უნდა იყოს შედგენილი, ხელს აწერენ ,,მდივანბეგი მოურავი გუგუნავა სიმონ და სხვები.

ამგვარად ეს სვიმონ (სიმონ) გუგუნავა იწოდებოდა თავადად, მდივანბეგად, მოურავად და კაპიტნად.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უფრო მეტი ცნობები გვაქვნებოდა გურული გუგუნავების შესახებ, რომ მათი არქივი არ დამწვარიყო. ,,ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილის თანახმად,დაიწვა სოფ. ძიმითის შტატის ეკლესია და ერთი საათის განმავლობაში სრულიად ნაცრად იქცა გუგუნავების საგვარეულო ძველი წიგნები, უფრო“ საეკლესიონი“ და ის დოკუმენტებიც, რომლებიც იქვე ინახებოდა ყუთში, რომელსაც ,,გუგუნავების კლიტე ედო და იმისთანავე ბეჭედით იყო დაბეჭდილი“.

ექვთიმე თაყაიშვილი: ,,როგორც გაზეთებმა გვაცნობეს,ძიმითის ეკლესია თავისი ხატებით და ნივთებით სულ დამწვარა. ამბობენ აქ განცალკევებულ ყუთში ინახებოდა ბევრი სამკაული თავადთა გუგუნავათა“.(ე.თაყაიშვილი,არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები 1907 წ.გვ.28).

დავით (დათა) გუგუნავა

დავით სვიმონის-ძე გუგუნავა, თანამედროვენი მას დიდ დათას უწოდებდნენ (1805-1885წ.)იმ დროს 60 წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში მომხდარი ყველა ომისა და გურიის 1841 წლის აჯანყების მონაწილე პირველი ხარისხის წმ. გიორგის ჯვრის სრული კავალერი ყოფილა. დავით გუგუნავა რამდენიმე ლექსის ავტორია მათ შორის შესანიშნავი ლექსისა ,,შავი შაშვი“. გადმოცემით, მან ზედმიწევნით იცოდა ეკლესიური გალობები და ხალხური სიმღერები გურულ კილოზე. სწავლის შესაფერისად კარგ ლექსებსაც წერდა. იმერეთისა და სამეგრელოს თავადაზნაურობა, ქობულეთელი ფაშები და ბეგები იცნობდნენ მს,როგორც განთქმულ ვაჟკაცსა და მკვირცხლ მოჯირითეს.

გადმოცემით, დავით გუგუნავას სიმღერა ,,შავი შაშვის“ გარდა ,,მრავალჟამიერის“,“გრძელი ღიღინისა“ და სხვა ჰანგთა ვარიანტებიც მიეწერება.

დათა გუგუნავა

როგორც ცნობილია ,,შავი შაშვი“ შემდეგნაირად შექმნილა: ,,დავითი მწუხარებაში ყოფილა შვილის -ტიტიკოს სიკვდილის გამო.ამის გამო ის ყოველგვარ გართობა-ლხინს მოწყვეტილი იყო და გლოვის დღეებს ოჯახში, ნაგომარში ატარებდა. დასვედიანებული დათა ერთ დღეს ავანზე ყოფილა: ხეზე შემოჯდარა შაშვი და დაუწყია გალობა. დათას ყურადღება მიუპყრია შაშვის გალობისათვის, ხმა აუყოლებია და შეუთხზავს ლექსიც ,,შავი შაშვი ჩივოდაო, ნეტა რასა ჩივოდაო“.შემდეგ ეს სიმღერა დათას თავის მოწაფეთათვის შეუსწავლებია,რომელიც გავრცელებულა და გასალხურებულა.

ტექსტი ასეთი ყოფილა:

შავი შაშვი ჩივოდაო, უხუცესი მთავარი
მთაი დაუთოვია არსად არის სავალი,
აქ სურო მგულებოდა, ზე მახენი მრავალი,
ვა თუ შეგვაქ ყავები, სული წავა მთავარი...
დაუყეფე ჩემ მურა, ნადირია მრავალი....
აქ გაისმის ძალის ყეფა: ომ, ომ,ომ....
ამავე ლექსს დიალოგური დასწყისიც აქვს
- შავ შაშვი ჩიოდაო,
- ნეტა რასა ჩიოდაო
- მთაი დაუთოვია,
გზა, არა მაქვს სავალი.

შემდეგ მიდის ზემოთ აღნიშული სიტყვები და მისამღერი ,,არალი, არალი, არალი, დილა ადილა, არალ-ოდა... ამ,ამ,ამ,ომ,ომ,ომ, ჰამ,ჰამ, ამგვარად,როგორც გადმოქცემენ,ა რა მხოლოდ ლექსი,არამედ მასზე აგებული ჰანგიც დათა გუგუნავას ეკუთვნის.

ნაგომარში დათას სასახლე, მდიდარი ბიბლიოთეკით,იმავე დროს,,პოეზიისა და ხელოვნების კერასაც წარმოადგენდა“ .... პოეტი მამია გურიელი ,,მთავრის კარის ლხინის აღწერასა“ და ლექსში-,,გალოცვა ახალ წელიწადს“-სიმღერა-გალობა მოლხენაში პირველ ადგილს გუგუნავათა გვარს ანიჭებს, განსაკუთრებით კი დათას. იგი ამბობს: ,,დათა არ ერიდება ომსა და ლხინს,აქ ხმლით პრწყინავდა, მეორესიტყვით, ჩონგურით, ფარით ამშვენებდა, ამიტომაც უწოდებენ მას გურია-იმერეთ-სამეგრელოში სახელგანთქმულ ვაჟკაცსა და ,,ლხინის დედას“, დიდ დათას. მის შესახებ,რომელიღაც დარიას ლექსი უთქვამს მისი მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ეს ნაწყვეტია ცნობილი. დარია ამბობს:,,დათა მარდია, მეგობრისათვის გულის ვარდია“. (იოსებ მეგრელიძე, ,,გუგუნავები“).

დათა გუგუნავა,რომ გარდაიცვალა,მის ვაჟს სიმონს ეპისკოპოსი მოუწვევია წესის ასაგებად ბარათში კითხულობთ: ,,ყოველად უსამღვდელესო გურიის ეპისკოპოსო ალექსანდრე, 27 აგვისტოს არის დანიშნული...დღე ტირილისა და დასაფლავებისა... სამწყსოისა თქვენისა და ძვირფასისა მამისა ჩემისა კაპიტნის თავდის დათა სვიმონის ძე გუგუნავასი. მობრძანდით 26-ს საღამოს. თუ სამსახურის ან სხვა მიზეზის გამო,ვერ მობრძანდებით, აცნობეთ მენგრელიის ეპიზკოპოზს ბესარიონს“, მან დამდოს ეს პატივი.19 აგვისტო 1885 წელი“.

დათა გუგუნავას გარდაცვალების გამო გაზეთმა ,,დროებამ“ გამოაქვეყნა ნეკროლოგი: ,,ამ რამდენიმე დღის წინათ გურიაში გარდაიცვალა ოთხმოცი წლის მოხუცი თავადი დათა გუგუნავა. დათა გუგუნავა გარდაიცვალა და თუ არ ვცდებით, იმისი მსგავსი სრულიად საქართველოსი არავინ დარჩენილა: ეს იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ძველებურის ჩვენი ცხოვრებისა, ეს იყო ნამდვილი ძველებური ქართველი თავადი ყოველგვარი საუკეთესო თვისებებით შემკული. იგი მოესწრო გურიის სამთავროს და ყოველთვის მონაწილეობას იღებდა თავისი ქვეყნის ბედ-იღბალში და ისე იჩენდა თავს, როგორც ეკადრებოდა ნამდვილ მამულიშვილს, უშიშარს,თ ავგანწირულს და ვაჟკაცობით განმსჭვალულს ...იგი იყო დარბაისელი, ტკბილი მესაიფის, მოსწრებული სიტყვის პატრონი, ამ ადამიანისათვის დამახასიათებელი გახლდათ აგრეთვე სისწრაფე, სიმარდე, რამდენიმე ცხენს ხელუხლებლად გადაახტებოდაო. დაკვრის დროს თვითონვე თხზავდა ლექსებს ხმა მოქნილი თასმასავით, ლიხს-გადაღმელი ვერვინ იმისთანა სიმღერას ვერ იტყოდა, გალობაშიც ბადალი არ ჰყავდა“,(გაზეთი ,,დროება“1895 წელი 197,13 სექტემბერი).

დათას დიდად აფასებდა პოეტი მამია გურიელი (1836-1891) დაკრძალვის დღეს დიდებული გვირგვინი მიუტანა. ბრწყინვალე სიტყვა უთხრა გურიის თავადაზნაურობის ახალმა წინამძოლმა პეტრე ნაკაშიძემ შემონახულია ზეპირი გადმოცემა, რომ პნაკაშიძემ საფლავს ასე მიმართა: მშობლიურო მიწავ, დიდ მამულიშვილს გაბარებთ და კარგად შეინახეო(იოსებ მეგრელიძე).ამ დაკრძალვას მრავალრიცხოვანი ხალხი დასწრებია მას უნდა ცრემლი ერგოო, გადმოგვცემენ თანამედროვენი, ვინც სააქაოს ,,ლხინის დედად“იყო ცნობილი.

დავით (დათა) სიმონის ძე გუგუნავას შვილიშვილი სიმონ გუგუნავა წერდა: ,,გურიელის სავგარეულოა, შემდეგ გუგუნავათა სავგარეულო იწყება გვარის თავკაცის, ნაგომრის სამოურავოს გამგებლის მე-4 ქვეითი ,,დრუჟინის“ კომანდირის,მრავალი ჯვარმედლის კავალერის,1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთ დაუსჯელი მეთაურის დავით(დათა) სიმონის-ძე გუგუნავას დასახელებით.“

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფოტოფონდში დაცულია დათა (დავით)გუგუნავას ფოტო.(არსებობს მეორე ფოტო სინამდვილეში გურიის დრუჟინის მეთაურის ერმალო ნიჟარაძისა,რომელსაც იოსებ მეგრელიძე ,,შუა ხნის დათა გუგუნავას“ აკუთვნებდა, ,ჟურნალ ,,ისტორიანის 2017 წლის 6-შიგამოქვეყნებულ სტატიის შემდეგ ეს შეცდომა გასწორებულ იქნა.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ძიმითში ერთ-ერთ ლამაზ უბანს“სამთაგანა“ ეწოდებაგადმოცემით,შორეულ წარსულში“სამთა ძმათა გუგუნავათა“ საკუთრება ყოფილა, სახელწოდებაც აქედან მოელია .აქ ცხოვრობდა დათა გუგუნავა-პოეტი, ხალხური მუსიკის საუკეთესო მცოდნე. ამ სახლში ითხზვებოდა და იწერებოდა ლექსები, სასიმღერო სტროფები და სხვა. ამის გამო დათას სახლს ხალხმა ,,პოეზიის სასახლე“ შარქვა. აქ ცხოვრობდა დათა გუგუნავა 1885 წლამდე. მამის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა სიმონმა 1886 წელს“სამთაგანადან“ მამაპაპისეული პოეზიის სასახლე ძიმითიდან ნაგომარში გადმოიტანა.,,პოეზიის სასახლე“ განაგრძობდა შემოქმედებით არსებობას 1906 წლის თებერვლამდე,მეფის დაშალული ექსპედიციის ალიხანოვ-ავარსკის ჯარების მიერ მის გადაწვამდე.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

„პიკასო“ „კოლხიდადან“

ურეკში, სასტუმრო „კოლხიდას“ პერსონალს შორის 20 წლის „პიკასო“, ანუ გიორგი კვერღელიძე გავიცანი. იგი პროფესიით ელექტრიკოსია, „კოლხიდაში“ ელექტროტექნიკას კურირებს, გატაცებით კი მხატვარი გახლავთ:



გიორგი კვერღელიძე: „- „პიკასო“ სასტუმროს მფლობელმა, ბატონმა ამირან ჩხაიძემ შემარქვა. მანვე შემომთავაზა პირველად ეზოში შენობის კედელი მომეხატა. ჩემი რამდენიმე ტილო შენობაშიც განათავსა კედელზე. ძალიან ხელს მიწყობს და ხატვის მოტივაციას მაძლევს. აქ ასი ნახატი მაქვს.

ხატვა ბავშვობიდან მაინტერესებდა, მამაჩემი მხატვარი იყო, კარიკატურებსაც ხატავდა. გურიანთაში ვცხოვრობ. სახლში მაქვს ჩემი ორასამდე ნამუშევარი, ზოგი გამიყიდია კიდეც. ნახატების რეკლამირებისათვის არაფერს ვაკეთებ, ხან ინტერნეტში ვათავსებ. შეიძლება ხატვა ჩემს პროფესიად გავიხადო, თუმცა ახლა აქ უფრო ჩემი პროფესიით, ელექტრიკოსობით ვარ დაინტერესებული. ძირითადად, აბსტრაქციას ვხატავ. ხატვის დაწყებამდე ვიცი რას ვაკეთებ. თითოეული ნახატის ახსნა შემიძლია. ვმუშაობ სამშენებლო მასალებითაც, ნახატს ბო-ლოს ტუნგოს ზეთით ვფარავ, ჩემი საყვარელი ფერები ლურჯი და შავია...“

გიორგის ერთგვარი სახელოსნოც აქვს „კოლხიდაში“, ბატონი ამირან ჩხაიძე ახალგაზრდა თვითნასწავლ მხატვარს მაქსიმალურად ეხმარება, ინტერესდება მისი საქმიანობით.

„პიკასო“ დაგვპირდა, ჩემს საყვარელ ნახატს გიჩვენებთ და აგიხსნით კიდეცო, თუმცა ვეღარ მოვახერხეთ.

ჯერ მხოლოდ ოცი წლისაა, მისი ცხოვრება გეგმებისაგან შედგება. წარმატებები ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას, „პიკასოს“.

ლია კილაძე



ინტელექტთამაში: ნახევარფინალში 8 გუნდი გავიდა

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების, ახალგაზრდული ქვეგანყოფილების ორგანიზებით, ასევე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის დაფინანსებით მოეწყო შემოდგომის სეზონის ინტელექტთამაშების II ტური. გამოვლინდა 8 ნახევარფინალისტი გუნდი. ესენია:

1. 1 საჯარო სკოლა "ოლიმპი" - 17 ქულა
2. შრომის საჯარო სკოლა "საფიხვნო" - 14 ქულა
3. წმ. ნინოს სამრევლო სკოლა "მთიები" - 14 ქულა
4. კონჭკათის საჯარო სკოლა "ნიკე" - 13 ქულა
5. ლაითურის საჯარო სკოლა "მჟავე" - 13 ქულა
6. 2 საჯარო სკოლა "გრაალი" - 13 ქულა
7. ლიხაურის საჯარო სკოლა "გავარდნილები" - 12 ქულა
8. ქვემო ნატანების საჯარო სკოლა "ჯეოკლასი" - 12 ქულა

ნახევარფინალი გაიმართება ოთხშაბათს, 7 ნოემბერს, 15:00 სთ-ზე, პირველი საჯარო სკოლის დარბაზში.

Voetbal24.be: "გენტი" ჩაკვეტაძეს მალე რეკორდულ თანხად გაყიდის

გიორგი ჩაკვეტაძე 1 საქართველოს ნაკრების ლიდერია, "გენტში" კი მიმდინარე სეზონში შეუცვლელად ასპარეზობს და გოლებიც გააქვს.

ბელგიური სპორტული საგენტო **Voetbal24.be** ჩაკვეტაძეზე კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას. დიდი ალბათობით, ქართველი ფეხბურთელი მალე "გენტის" ისტორიაში ყველაზე ძვირად გაყიდული ფეხბურთელი გახდება.

„გენტმა" რამდენჯერმე მოახერხა ფეხბურთელის მაღალ ფასად გაყიდვა, მაგრამ, როგორც ჩანს, აბსოლუტური რეკორდი გველოდება. გჩაკვეტაძე ჯერ მხოლოდ 19 წლისაა,თუმცა უკვე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდში. სანამ ბელგიაში გადმოვიდოდა, "ბაიერნი" უკვე იბრძოდა მის შესაძენად და როცა "ხარებთან" კონტრაქტი გააფორმა, ევროპული გიგანტებისგან კონტაქტი არც მას შემდეგ შეწყვეტილა. "გენტმა" იგი შეინარჩუნა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ

გიორგი აუცილებლად განვითარდებოდა.

გიორგი უფრო და უფრო უკეთესი ხდება და მისი ფასიც იზრდება. "გენტმა" თბილისის "დინამოს" 1.5 მილიონი ევრო გადაუხადა, დღეს კი მისი ფასი უკვე 5 მილიონია.

ბელგიურ კლუბში იმედოვნებენ, რომ მალე ჩაკვეტაძის უცხოურ კლუბში გაყიდვით "გენტის" ყველა დროის რეკორდს მოხსნიან.

იტალიაში ცნობილი ალპური ცისფერი ტბა გაქრა

რია ნოვოსტი, 26 ოქტომბერი. სარეკორდო თბილი ამინდების შედეგად იტალიაში მთლიანად გაქრა მთის ცისფერი ტბა, ანუ ლაგო აძურო. იტყობინება გამომცემლობა reenMe.

ტბა მდებარეობდა სონდრიოს პროვინციაში, ალპებში, 1853 მეტრ სიმაღლეზე. მისი გაქრობა შეამჩნია და ფირზე აღბეჭდა მარკო პუგლიზემ, რომელიც ტბას რამდენიმე ფოტოს გადასაღებად მიუახლოვდა. ფოტოგრაფის ინფორმაციით, წყლის დონე ასევე საგრძნობლად დაეცა კომოს ტბაშიც. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ხანგრძლივი გვალვები და ნალექების არასაკმარისი რაოდენობა.

გამომცემლობა შეგვახსენებს, რომ 2005 და 2006 წლებში ლაგო აძურო ასევე დაშრა ძლიერი გვალვების გამო.ჩათვალეს, რომ ის სამუდამოდ გაქრა, მაგრამ 2007 წლის ზაფხულში, ტბის ხელოვნურად შევსების შემდეგ, წყლის დონემ ბუნებრივად დაიწყო მატება. ტბა ცნობილია იტალიელი პოეტის ჯოზუე კარდუჩის წყალობით, რომელმაც მიუძღვნა მას პოემა, გარდა ამისა, ლაგო აძურო შეტანილია იტალიის გარემოს დაცვის ფონდის ჩანაწერში „ბუნების ადგილები, რომელთა დავიწყება არ შეიძლება“.

მოამზადა

თემურ მარშანიშვილმა

7 დღის ამინდის პროგნოზი

5 ნოემბერი, ოთხშაბათი	6 ნოემბერი, ხუთშაბათი	7 ნოემბერი, პარასკევი	8 ნოემბერი, შაბათი	9 ნოემბერი, კვირა	10 ნოემბერი, ორშაბათი	11 ნოემბერი, სამშაბათი
მზე ღრუბელი +8+17	მზე ღრუბელი +9+17	მზე ღრუბელი +8+17	მზე +8+18	მზე ღრუბელი +7+17	მზე ღრუბელი +7+14	მზე +6+14